

## განმარტებითი ბარათი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე

### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

#### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

როგორც ცნობილია საქართველოს პარლამენტის მიერ მიმდინარე წლის 15 ივლისს მიღებულ იქნა საქართველოს ორგანული კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე“, რითიც დამტკიცდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ 2008 წლის 20 თებერვალს მიღებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია. აღნიშნული კონსტიტუციის პარლამენტის მიერ დამტკიცებამ, დღის წესრიგში ავტომატურად დააყენა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების კანონპროექტის მომზადება და უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენა;

#### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღების მიზანია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისობაში მოყვანა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციასთან;

#### ა.გ) კანონპროექტის არსი

წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისობაში მოყვანას. ხდება მთელი რიგი ძირეული ცვლილებების განხორციელება. კერძოდ, უქმდება მთავრობის სამოქმედო პროგრამის ინსტიტუტი, აჭარის კონსტიტუციიდან გამომდინარე შემოდის მთავრობის შემადგენლობის დამტკიცებისას მთავრობის ცალკეული წევრის აცილებისა და მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების მარეგულირებელი ნორმები, კერძოდ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილი ხდება არ დაამტკიცოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობა და იმავე გადაწყვეტილებაში დასვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ცალკეული წევრის აცილების საკითხი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მიერ აცილების შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გაზიარების შემთხვევაში,

დაუშვებელია აცილებული პირის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის იმავე შემაღლებლობაში დანიშვნა გათავისუფლებული ან გადაამდგარი მთავრობის წევრის ნაცვლად.

ამასთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილი ხდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სრული შემაღლებლობის არა ნაკლებ ერთი მესამედით უნდობლობა გამოუცხადოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას. კერძოდ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ მთავრობისათვის უნდობლობის საკითხის აღძვრიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სრული შემაღლებლობის ორი მესამედით უნდობლობის გამოცხადების შემთხვევაში, მთავრობას უფლებამოსილება უწყდება. თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო მთავრობას უნდობლობას ვერ გამოუცხადებს, საკითხის დასმა შემდგომი 6 თვის განმავლობაში დაუშვებელია. წარმოდგენილი კანონპროექტით უქმდება მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა და მთავრობის თავმჯდომარის არყოფნისას მისი მოვალეობის შესრულება ეკისრება ერთ-ერთ მინისტრს მთავრობის თავმჯდომარის დავალებით, ასევე ზუსტდება მთავრობისა და მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილებანი, იცვლება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დასახელება. მსგავსად „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონისა, მინისტრის გადადგომა ავტომატურად აღარ გამოიწვევს პირველი მოადგილისა და მოადგილეების უფლებამოსილების შეწყვეტას. აღნიშნულის ნაცვლად მინისტრის გადადგომისას ხელმძღვანელობითი ვაკუუმის შექმნის თავიდან აცილების მიზნით, მინისტრის გადადგომის, ან სხვა საფუძველზე მისი უფლებამოსილების შეწყვეტისას მინისტრის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს უფლებამოსილება შეუწყდებათ მხოლოდ ახალი მინისტრის დანიშვნისთანავე;

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტი არ საჭიროებს დამატებით ხარჯებს;

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტი არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს;

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომლებზედაც ვრცელდება აღნიშნული პროექტის მოქმედება;

გ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

გ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში

აღნიშნული კანონპროექტის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ;

გ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ;

გ.გ) კანონპროექტის ავტორი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის იურიდიული დეპარტამენტი;

გ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.